ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №57

20.05.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ვიტალი ონიანი - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. ნინო წულაძე - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032510477-03; 14.04.25);

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (16-03251202-03; 30.04.2025).

მომხსენებელი:

- **ნინო ბაგაშვილი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა, წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032510477-03; 14.04.25):**

ნ.ბაგაშვილი - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 მარტის №25.463.533 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 მარტის №25.463.533 განკარგულების მეორე პუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 3-ის შესაბამისად“.

აღსანიშნავია, რომ დანართი 2-ით მტკიცდება იმ სკოლების ავტობუსების მარშრუტები, რომლებმაც სათანადო წესით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებით, მოსწავლეთა მომსახურების კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს სპეციალური რეგულარული გადაყვანა, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“):

„შპს იუჯი სკოლის“ მოსწავლეების გადაყვანა - M3 კატეგორიის 6 ერთეული ავტობუსით და M2 კატეგორიის 2 ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტებით.

დანართი 3-ით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში“ შესაბამისი განცხადება აქვს წარდგენილი:

შპს „ავერსი-ფარმას“, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილია დამატებით ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე მარშრუტის დამტკიცება.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032510477-03; 14.04.25) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (16-03251202-03; 30.04.2025):**

ნ.ბაგაშვილი - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

<u>პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.</u>“

განკარგულების მოქმედი რედაქციის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდებოდა 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ნოემბრამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო

ქვითრებზე. ხოლო წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, განკარგულების მოქმედება გავრცელდება 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (16-03251202-03; 30.04.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე